

რედაქცია

გადაცემის პრინციპები... თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთი ქუჩის კომპლ.

ხელის-მომწერად

ქვემოთ მოცემულნი არიან... თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთი ქუჩის კომპლ.

„დროება“-ნიმუშის ფასი

წელიწადში 6 თვის ვადის... თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთი ქუჩის კომპლ.

დროება

გამოდის ყოველ-ღე მარშაბათს ბარდა

შპსი განცხადების

დღის... თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთი ქუჩის კომპლ.

ცალკე ნომერი „დროებას“ ღირს 5კაპ.

დრამატული საზოგადოების მართველობა... თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთი ქუჩის კომპლ.

ლევა, ელჩები უნჩვევნი ზორცას, რომ დასჩქაროს ეს ზასუსი.

პეტრბურლი, 20 თებ. დ. მ. ნიკოლოზ მისელის-მე გუშინ დაბრუნდა სამსჯავრო-გარეთიდან.

პეტრბურლი, 21 თებ. ღენ.-ლეიტენანტი ჯომარჯიძე კავკასიის მეორე კორპუსის კამანდირად დაინიშნა, დეველი ადგილობრივ კავკასიის ჯარის უფროსად, ზოლგოვნიკი ძალაძე დრამატული საზოგადოების ზოლგოვის კამანდირად.

ვაშინგტონი, 21 თებ. ჩრდილოეთ შტატების შტატების რესპუბლიკის სახლმა პრეზიდენტმა გარდინერმა გუშინდელის დღიდან დაიწყო თავის მოვალეობის აღსრულება.

ნაპოლი, 21 თებ. ისკიის კუნძულზე საშინელი მიწის-ძვრა მოხდა. რამდენიმე კაცი მოკვდა.

პეტრბურ. 22 თებ. გასეთს „მადგაში“ დაბჭვდილას, რომ სახლი მინისტრი სახალხო განათლების საბურთაო სამსახურს სტოგებს. ამის ადგილს რეგულარულად ამოებენ, ან გალანგინი დაიჭერს და ან ღენ. ისკოკი.

ბათუმის მარხის დასარქმეობა.

ტვილისი, 23 თებერვალს. ჩვენს დღევანდელს გაზეთში იბეჭდება ბათუმიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელიც სხვათა შორის, გვაცნობებს, რომ ოთხსამდინ მონახლზე ჩამოვიდნენ და მოდიან მობუღეთიდან ბათუმში და აქედამ

მსმალეთში. გადასახლებას ემზადებიანო.

პირველი და მეორე არ არის, რომ ამისთანა ნამდვილად სამწუხარო ამბავს გვწერენ ჩვენ ბათუმის მახრადამ. მას აქეთ, რაც რუსეთში ეს მახრა დაიპყრო, მუდამ გაზაფხულზე და შემოდგომამდე ვხედავთ, რომ ეს ახლად-დაპყრობილი ხალხი ასობით და ათასობით ჩამოდის აბარგებული ბათუმში, რამდენიმე დღე რჩება აქ, მშვირ-მწყურვალე, შიშველ-ტიტველი, ძუძუ-მწოვარ ბავშვებით, უძლოურ დედა-ღამამაკაცებით და ბოლოს, როგორც არის, მოდის მსმალთს ან სხვა რომელიმე უცხო ქვეყნის გემი და მიჰყავს ეს ხალხი მსმალეთში.

საშინელოს სურათს წარმოადგენს თურმე ეს ხალხის გადასახლება: მნახველთ უამბნათ და მოუწყვრიათ ჩვენთვის, რომ ესენი დედა-მიწას ჰკოცნიან, ხეებს, სახლებს, ყველაფერს სულიერსა და უსულოს, რასაც კი სტოვებენ, ცხარე ცრემლის ღვრით, გულ-დამწვავ ტირილით ეთხოვებიან და ისე მიდიანო. ბევრი, ძალიან ბევრი, გზაზე იხოცება შიმშილისაგანო და ეინც კი ადგილამდინ მიიღწევს, სიკეთე არც იმას ეყრებაო: იქაც უკეთესი ბედი არ მოეღის, იქაც შიმშილი ხვდება, უპატრონობა, ადგილს არ აძლევენ, რასაც ჰპირდებოდნენ, მოტყუილებული რჩებიან და ამ ნაირად, რამდენიმე თვის განმავლობაში, უცხო ქვეყანაში ხეტიალის და წვალების შემდეგ, ზოგიერთები ისევ თავის ქვეყანაში ბრუნდებიანო. მაგრამ ბრუნდება ორში ერთი, დანარჩენი კი გაქირებისა და შიმშილის გამო იხოცება.

ერთი საშინელი ამბავი გამოაშკარდა შარშან ამ გარდასახლების თაობაზე: ერთს ბერძნის გემს რამდენიმე ასი აჭარელი და მაჭახელი წაყვანა ბათუმიდამ; მსმალეთის ნაპირზე რომ მიეყენებინათ გემი, იქაურ ადგილობრივ მთავრობას ნება-რთვა არ მიეცა გემიდან ხალხის გადმოსვლისა, რადგან უმაღლესის მთავრობისაგან არავითარი ბრძანება არ მიგვიღია ამის თაობაზედო. ძაპიტანმა უკან დააბრუნა გემი. მაგრამ ახლა აქ, ბათუმში, აღარ შემოუშვეს და არ მისცეს ნება ხალხის ნაპირზე გამოშვებისა. ღარჩა წყალში. ამ დროს განდა გემში მჯდომ ხალხში ავთ-მყოფობა, შიმშილი და თითქმის სახანგეროდ ეინც იყვენენ, დაინოცა. ბემის პატრონმა, რომელსაც სხვა გზა არა ჰქონდა, მიაყენა გემი ერთს უდაბურს ადგილს და გამოერკა ხალხი. მს ადგილი, როგორც იწერებოდნენ, ისეთი იყო, რომ აქედამ მხოლოდ ერთი გზა ჰქონდათ—ზღვაში გადავარდნილიყვენენ, ხმელეთისაკენ წასვლა არ შეეძლოთ!.. ბოლოს ჩვენმა ბათუმის მთავრობამ შეიტყო ეს ამბავი, გაგზავნა გემი და დაიხსნეს ცოცხალ-მკვდარი ხალხი.

ბევრი ამისთანა საქმე მოხდა ამ გარდასახლების დროს. ბევრი ხალხი იმხვევრბლა ამ გარემოებამ.

ჩვენ არ მოეყვებით აქ იმ მიზეზების ჩამოთვლას, რომელიც ამ ხალხს აიძულებს გარდასახლებას. საკმაოდ ყოფილან ჩვენს გაზეთში ეს მიზეზები გამოაშკარებულნი და არა-ერთხელ ჩამოთვლილნი.

ბეთქვამს და ვამბობთ, რომ, როგორც უნდა იყვენენ ეს მიზეზები,

ტელეგრაფები

(ხალხთა შორის საბავებტოსი)

ლონდონი, 20 თებერ. ღორდების ზაღაცაში იყო სჯა უნდაარას შესახებ აიტანის წინადადებასედა. მარგის საღისებრამ სთქვა, რომ რუსეთმა თავის დაპირება არ შეასრულა: იმას დაიპერა ხივბა, გაავრცელა თავის საშფლობელა კასპიის სღვის ნაშართან, ავღანის შინაგან საქმეებში ესებოდა და ამის გამო იმის დაპირებასა არ უნდა ვერწმუნოთო. ამის გამო მარგისმა ჰკითხა სამინისტროს: რა სახსრები იხმანეთ რუსეთისაგან ბრეტანის ინტერესების დასაჩვევადო.

გას. „გოლასს“ სწერენ ღონდონიდან: ინლანდიის ვიცე-კოროლმა გამოაცხადა ინლანდიის სოციეტოს მარტებში, რომ „ძალ-დატანებითი განხი“ იწყებს მოქმედებასაო.

სტამბოლი, 20 თებერ. ევროპის ელჩებმა გამოუცხადეს ოსმალის მთავრობას, რომ იმით უკვირთ—რატომ ევროპის სასკემწიფოების ნოტასე ოსმალეთი აწავითან ზასუსს ან იმ-

„დროების“ ფელტონი, 24 თებერვ.

ჭუთათური ამბავი

ზამთარი.—საოსტატო სემინარია არსდება. ქუთათელთ და მთელი იმერეთის სურვილი.—ცუდი სმები.—ხალხსა სკოლისეთ.—თავად-სახსურთ წინამძღომეს რა სამსახური შეუძლია ახლა გაუწიოს იმერეთს.—სახალხო სკოლების ახალი დირექტორი.—სწავლების ახალი ზღანის სასოფლო სკოლებითათვის.—სწავლელატორი ჰედაგოგის ტყუპი.

თითქმის ორი თვე-ნახევრის უზამთრო-ზამთრის შემდეგ, რომლის განმავლობაში მზე ნაზად დასცქეროდა ჩვენს პატარა, მაგრამ ტურფა, მუთათისს—გვეწვია სუსხიანი ზამთრის ტაროსი წვიმებითა და თოვლითურთ. ჩვენი ქებული ოღრო-ჩოღროიანი

ქუჩები „შეიქმნენ განუფლელ“ და მით ფრთა მოეყვეცა ახალ-გაზდების სახლიდამ სახლში ტანტალს დროს გასატარებლად, მოყვარულთაგან გაჯახრებულს თეატრში აღარაინ დაიარება, ხარაზოვის კლუბს მაზანდა წაუხდა; ყველა თავის კვირას მოუჯდა, თებბა ბუზართან, რომლის სამზადისი დღეს ან ხეალ შემოაკლდება და საზნეგოდ კი აღარ იცის რითი გათბეს.

ერთის სიტყვით, მთელს ქალაქს მორფვის ფრთები გადაეფარებოდა, რომ ერთს ძრავალ მნიშვნელოვანს, საქმეს არ მივპყრო საკუთრივ მუთათისელთა და საზოგადოთ იმერეთის ყურადღება. შველა, დიდი თუ პატარა, მოღვაწე, თუ ბუღეარის უღარდელი მტკუნელი ამის თაობაზე სჯიან და ბაასობენ.


ჩვენ ვამბობთ იმერეთში საოსტატო სემინარიის დაარსებაზედ, რომლის გამო „დროების“ რედაქციამ შარშანვე გამოთქვა თავის აზრი თუ სად ემჯობინება ამ სასწავლებელის გახსნა: მუთათისში თუ ხონში.

თუ ურდადებით, გულ-დამჯდაზად და მიუდგომლად გამოიგვდიეს ეს საგანი, ჩვენ დაწმუნებულნი ვართ, რომ უშირატესობა ვოკელის მსრით მუთათისს უნდა მიეცეს. ანა თუ დაწმუნებულნი ვართ, ანამედ თვით ეს ფაქტი გვაკვირვებს, რომ ამ საგანზედ ყოყმანობა და ზასი ჩამოვარდა; გვაკვირვებს იმიტომ, რომ დაბახონი ვერავითარის მსრით ვერ გასწევს უღელს მუთათისთან, ვერ შეიძლება ვერც ერთის შინობით გადაჭარბებას ამ ქალაქისას, და, მასხადაძე, თუ სხვა რამე გარემე გარემოება არ ყოფილიყო აქ, უშირატესობა ამ შემთხვევაში პირვე-

ლადვე და ბევრის უფიქრელად მუთათისს უნდა მისცემოდა.

ამას ამბობდა სხვათა შორის „დროება“ თავის „შარშანდელ № 81 წინა სტატიაში იმერეთში საოსტატო სემინარიის თაობაზედ, და ამასვე იმერებს დღეს, არა თუ მთელი მუთათისი და ყველა მუთათისელი, არამედ მთელი იმერეთი და ყოველი იმერელი, რასაკვირველია, თვით ხონისა და ხონელთ გარდა. მაგრამ რას ნიშნავს ხონი და ხონელების სურვილი მუთათისთან და მთელი იმერლობის წადილთან შედარებით? სრულიად არაფერს...

მაგრამ ასე არ სჯიან, როგორც ეტყობათ, ისინი, რომელთაგანაც დამოკიდებულია ამ საქმის გადაწყვეტა: აქ მოვიდა ამბავი მთელიისიდან, რომ უშირატესობის მიცემას ხონს უპირი-



ამათი მოსპობა ჩვენს ხელთ არის და უმაღლესმა მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მძიმე და საყოველთაო ყურადღების ღირსს ამბავს.

ახალი ამბები.

ნამდვილად შეეცდებოდნენ, რომ ოფილისის საადგილ-მამულო ბანკის ახლის წესდების პროექტი, წარდგენილი ფინანსთა სამინისტროში შარშან იანვარში, მინისტრს დაუმტკიცებია. ამის გამო გამგეობა ამა ბანკისა შექსდგომია ახალს წესდების მიხედვით საქმეების დაწყებას და მომართვასა.

პროექტი საადგილ-მამულო ბანკისა იმაში მდგომარეობდა, რომ ბანკს უფლება მიჰნიჭებოდა სხვა ამიერკავკასიის გუბერნიების მამულებზედაც სესხის გაცემისა.

ზარდა ამისა, იმ პროექტის ძალით, ბანკს უნდა მიჰსცემოდა უფლება და ღონისძიება იმდენი სესხი გაცეცა, რამდენსაც საჭიროება მოითხოვდა ლიკვირებული ბანკისა - მებრ მამულებისა..... აქამდის კი, როგორც მოეხსენება მკითხველს, ბანკს ნება ჰქონდა გაცეცა სესხად მხოლოდ ერთი მილიონი და ექვსასი ათასი მანეთი გირაუნობის ფურცლებითა და ამდენი ბანკს დიდი ხანია გაცემულიცა ჰქონდა.

დღეს, 24 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, ოფილისის საადგილ-მამულო ბანკში არის მესამე სხდომა „გეფისის ტეაოსნის“ რედაქციისა.

ჩვენ გვწერენ: ერთ ზუგდიდელ აზნაურიშვილს ძედიას და ზუგდიდისავე გლეხს ჯაბუკიანს, 17 ამ თვისას, მიწის თაობაზე მოსვლიათ ჩხუბი და ერთმანეთი დაუჭრიათ. აზნაურიშვილს ლეკური დაუკრავს გლეხისთვის და გლეხს ტამბაჩა დაუბლია ძედიასთვის. მეორე დღეს ორივე მომკვდარან.

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ მოყვანილი, რომ პეტერბურღში არის

ბენო, ესე იგი საოსტატო სემინარიის დარსებას ხონში აპრობენო. ახირებული იქნება თქვენს მზესა ვფიცავ, თუ ეს მართალი გამოდგა!

თავი დავანებოთ, ბატონებო, თუმც დასანებებელი არ არის, მუთაისის ჰიგიენურს, ზნობით ზედ-მოქმედების, ცხოვრებით საშუალობის, გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობას ხონისაზე; თავი დავანებოთ იმ უხვს და პირებასაც, რომელიც ეხლავ უამედნა მუთაისმა მომავალს სემინარიას (იხ. „ღროების“ № 33) — და ერთი ეს ვიკითხოთ: ხომ ხალხის წარმატებისათვის და საკეთილ-დღეოდ არსდება იგი? თუ კი, მაშ ახლა ცოტა ამ ხალხსაც დეეკითხეთ — სად ეუფლებსება და უფრო ეხელთება მას სემინარიის დაარსება და თქვენ თვითონ მოსმენთ და იხილავთ, რომ მთელი

ამჟამად კრება რუსეთის ყველა სამასწავლებლო მასწავლებლის მზრუნველთა (პოპეჩიტლებისა); კრებაზედ უნდა მოილაპარაკონ სწავლის შესახებ სხვა და სხვა საგნებზედ. რუსულ გაზეთებში იწერებინან, ამ კრებას, სხვათა შორის გამოუცხადებია აზრი, რომ სიტყვიერი ვგზამენები გიმნაზიებში, გარდა მეექვსე და მერვე კლასისა, ყველა კლასებში მოისპოსო.

რუსულ გაზეთებში იწერებოდნენ ამას წინათ, რომ უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვს, რკინის გზის კაპანიები ელდებულნი გახდნონ, რომ მეოთხე კლასის ვაგონები გამართონ, (მესამე კლასის ვაგონების ზემოდამ, გარეთ,) რომ ღარიბებს მცირე ფასით შეეძლოს რკინის გზით მოგზაურობაო. ახლა ამავე გაზეთში იწერებინან, რომ ეს აზრი მიუტოვებიათ, რადგან სიცივის გამო, გარეთ ჯდომა ვაგონებზე შეუძლებელი არისო.

პარასკევს, 20 თებერვალს, ღამით, ოფილისში მოიკლა თავი რუსის მწერალმა ნიკოლოზ მასილის-ძემ სიმბორსკიმ. ბანსვენებული, იყო გამოგზავნილი პეტერბურღელი გაზეთის „ახალი ღროებისგან“ მცირე აზრის ომის კორესპონდენტთან და მას აქეთ არ დაბრუნებულა რუსეთში.

ნ. მ. სიმბორსკი, ობილისში ყოფნის დროს, იღებდა მონაწილეობის რუსულს გაზეთს „Обзорь“-ში და უკანასკნელ დროს ახალი სატარიულ გაზეთს „შალანგაში“. შეეცა ამ გაზეთების მკითხველებმა იციან მისი ტალანტი, როგორც ჩინებულის რუსის პოეტისა.

ბანსვენებულმა გააცნო თავი პეტერბურღის ლიტერატორებს თავისი ლექსებით, რომლებიც იმნ დაბეჭდა რუსულ ჟურნალ-გაზეთებში: „Пчела“, „Недѣля“, „Вѣстникъ Европы“, „Русское обозрѣние“.

მას აქეთ, რაც სიმბორსკი ჩამოვიდა ობილისში, იმის ტალანტი უფრო გაიზარდა. ძვირად იყრებოდა მინც იპოვის მკითხველი „Обзорь“-ის კოლლექციაში მის ლექსს. ჩვენ

იმერეთა (კიდევ ვიმეორებ, ხონელთ გარდა) იტყვის: მუთაისში ბატონოვო!

ამის შემდეგაც თუ ზურგს შეაქცევთ მუთაისს, ეგ თქვენი სურვილი იქნება: „ძალა აღმართსა ხნავსო“ მოგესხენებათ....

ჩვენს აზრით ახლა შეუძლია თ. ნ. წერეთელს ღირსეული სამსახური გაუწიოს დასავლეთს საქართველოს საზოგადოდ და იმერეთის თავად-აზნაურობას საკუთრივ. მითარცა თავად-აზნაურთ წინამძღოლმელს, მას სრული უფლება აქვს თავის წოდების სახელით სთხოვოს უმაღლესს მთავრობას, რაც ამ საგნის თაობაზედ იმერეთსა ჰსურს. საგონებელია, რომ ეგ თხოვნა შეუწყნარებელი არ დარჩეს. რაც უნდა იყოს თავად-აზნაურობა და მისი წინამძღოლელი ამ რიგად

ხელათ არა გვაქვს იმისი ნაწერები და არც გვახსოვს, ყველა, მაგრამ, რომ ორ ლექსზე მართა მიუთითოთ მკითხველებს ის ორი ლექსი საკმაო იქნება იმის ტალანტის შესამოწმებლათ. მს ლექსები არის: „Страница изъ русской исторіи“, რომელიც იყო დაბეჭდილი „Обзорь“-ში (24 დიკ. 1878) და „Въ ожиданіи“ („Русск. обзор.“).

ჩვენ ვიცით, რომ განსვენებულს დარჩა ორი დაუბეჭდელი პოემა, — ერთი სახელათ „Статуя“ და მეორე „ჩვენებური არაკი“.

თუმცა გაზეთით არ იყო გამოცხადებული, მაგრამ იმის გასვენებაზე კარგა ბლომა ხალხი დაესწრო. ბ. ოსორჯევსკიმ ორიოდ სიტყვა სთქვა იმის დასაფლავებაზე და წაიკითხა პატარა ლექსი.

საუკუნო იყოს იმის ხსენება!

ახალ-სენაკილამ შემდეგ ამბავს გვწერენ:

„ამა 20 თებერვალს საღამოს ახალ-სენაკში იყო ქართული წარმოდგენა. წარმოდგენის ორი კამედია: „ძალათ ექიმი“ და „ზაყრა“.

პირველი კამედიის წარმოდგენა წავიდა სუსტათ.

მეორე კამედია კი უფრო წესიერად შეასრულეს. ამ წარმოდგენაში საქები ეყო ბ. ახვლედიანი (სომეხი), რომელმაც კარგა ოსტატურათ წარმოდგინა ეს როლი.

წარმოდგენაზედ მრავალი ხალხი დაესწრო. პირველი წარმოდგენისა არ დარჩა კმაყოფილი საზოგადოება და ბევრს ძილიც მოსდიოდა. მაგრამ მეორე პიესის წარმოდგენაზედ საზოგადოება ცოტათი გამხიარულდა და მალ-მალე ტაშს უკრავდა.

წარმოდგენა იყო აქაურის ნორმალურის სკოლის სასარგებლოთ.

ბევრი ნაკლულეგანება ჰქონდა სცენაზედ ჩვენ მოთამაშეებს, მაგრამ მე უნდა შევნიშნო მართა შემდეგი: ყველანი ერთობ ძრიელ ჩქარობენ ლაპარაკში; მათი ლაპარაკი წააგავს

თავიანთ ვაღს მოიხდიან... მაშ მიგვიტყვი მათი ყურადღება ამ საგანზედ.

იმედია, ბარდანქეშან-ჰაიარის ბიჯად არ ჩაგვეთვლება, აწ რომ აქაურ ოლქის სახალხო სკოლების ახალი დირექტორზე ორიოდ სიტყვა ვთქვათ. შევლავდ უწინარეს, ერთი იმისთანა რამ აკლია ახალს დირექტორს, რომ სხვა ყოველ მხრივაც უნაკლული იყოს, მაშინც კი გაუჭირდება თავის მოვალეობის რიგაიანად შესრულება: მან სრულიად არ იცის ქართული, და, როგორც ამბობენ, დრო და მოცალეობაც არა აქვსო იმის შესასწავლებლად.

ამ დღებში მან მიიღო კავკასიის სამასწავლებლო ოლქის მზრუნველისაგან ახალი სწავლების პლანი სა-

უფრო ერთი ხმით წიგნში კითხვას, ვინემ დამჯდარ ბაასს.

შოთილამ გვწერენ:


სხვა-და-სხვა გაზეთებში ბევრჯერ იყო ნათქვამი შოთის ქურდობაზედ და აქურ ადგილობრივ ადმინისტრაციის გულ-გრილობაზედ: მაგრამ კაცმა სწორე უნდა თქვას, ეხლა ამის თქმა აღარავის შეუძლიან, ამისათვის რომ აქაურ ქურდებს პოლიციამ საკმაო მოუტეკა თავი: სადაც კი ბინა ჰქონდათ, ისე გამოსჩიკეს კირკიტასაებ, რომ უსულადო ბარტყები და გამოსაჩიკი კვერცხებიც თან გამოაყოლეს. საითაც გაიხედავთ, ქურდებს მიაბძანებენ დესიატნიკები, ცოტა კი არ გვგონოთ, კიდევ გააშენებენ ოხერ ქვეყანას. პოლიციემისტრის სახლისა და მალაზიების გამქურდავებიც ამათში ერევიან.

პატარა ამ ყველიერებში უშიშრათ დავიძინავთ. ამათ დაჭერაზედ ენერგიულათ იტყეოდა ბ. შ-შილი. შესამართელობა იქნება, რომ ეხლა აქაური ქალაქის მომვლელები ვაჰკიცხონ, რადგან ერთგულათ მოქმედობენ.

ჩვენი კლუბის საქმე კი ღმერთმა შეინახო! ნაცვლად გაუმჯობესობისა თან-და-თან, სიბერისაგან თავ-მოღუნული კაცივით, უკან და უკან მიდის; კლუბს საკმაო წევრები ჰყავს, კარგიც და ავიცა; მაგრამ ვაგონა კარგებს არა აქვსთ, უფრო უხვიროებს. მს გასაკვირველი არ არის: ბოროტებას ყველგან მაგრათ აქვს გამდგარი ფესვები, სადაც მაგარი ნიადაგია, მაგრამ შოთში გასაკვირველია ამისთანა ჭაობიან ალაგას ფესვების გადგმა. აი რაში მდგომარეობს კლუბის უწესობა: აქ უსტავს, წესდებას არ ასრულებენ; ყველა კლუბის წესია ღამის ორსათამინ ყველას შეუძლიან ქალაღდის თამაში და შემდეგ თუ დარჩება, აკრძალული არარის თამაშობა, მხოლოთ წესდების ძალით დადებულს ჯარიმას გარდაიხდის. მს წესები ისე არ სრულდება აქა, როგორც ეხლა მე ჩინეთში არ გახლავარ... აქ ორნაირი წესებია: ვინც ბობოლა არის,

საფლაო სკოლებისათვის, რომელიც მისს მოქვემდებარე სკოლების ზედამხედველებისათვის უნდა დაერიგებინა ხელსამდგენად მისაღებლად. ბ. პროვსს წასძლია მოხელეების ჩვეულება სისწრაფემ და იმისთანა სკოლებსაც გაუგზავნა, რომლებზედ მისი უფლება ნამდვილი ფიქტიურია მაგ. საზნაურო და სომეხთ-გრიგორიანთ სკოლები. ამ უკანასკნელების ზედამხედველებმა უკანვე დაუბრუნეს ეს კურთხეული პლანი და აუწყეს, რომ იმათ ჰყავსთ თანთან პირ-და-პირი უფროსები, რომელთაგანც დამოკიდებულია მათს სკოლებში სწავლების სისტემა, და ამიტომაც ბ. დირექტორმა იმათ უნდა წარუდგინოს ახალი პლანი...“

შემოხსენებული პლანი სასოფლო სკოლებში სწავლებისა“ გახლავსთ



დიდ-თავა, თუნდ გამურულიც იყოს, ბობოლა რაკი არის, გათენებამდინ თამაშობს და ვინ გაბედდეს ჯარიმა სთხოვოს და თუ პატარა კაცი ხარ, ვადამდინაც არ გათამაშებენ, ყველა შარებს შენ შემოგწამებენ. უცხო პირს რომ წვერად ჩაწერა უნდოდეს, ერთის მეღუტუნა კანდიდატის მოწყალებით, უნდა ვააშავებენ და არ მიიღებენ და უნდა გაათეთრებენ.

„მინც გვირან, და პატიოსანი კაცია, ხმას არ იღებს და ვინც ამისთანა გაიძვერა არი, ქვეყანას გვირვეს..“

„დროების“ კორესპონდენცია

ბათუმი, 10 თებერვალი. ეს რამოდენიმე დღეა ბათუმის მჭირთები გამსებულია შობულეთლების უბედური ცალმეილით, რომლებიც მოსულნი არიან გადასახლებლათ მსმალეთში.

დღემდი მარტო 150 კომლია მოსული და ამ რამოდენიმე დღეში მოვლიან კიდევ ბათუმში 250 კომლს, რომლებიც სოფლებიდან ჩამოსულან ზღვისპირათ და პატარა ნავებით მოეშურებიან ბათუმისაკენ.

როგორც ამათვე მითხრეს, ამ ოთხასი კომლისათვის ტრაპიზონის ვილეთში (გუბერნიისში) დასახლებლათ მსმალთს მართებლობისაგან ნებათვა გამოუტანიათ, ოსმან და ალიფაშა თავდგირიძეებს, რომლებიც ამ უკანასკნელი ომიანობის შემდგომ ტრაპიზონში სეხოვრებენ და იქილამ სხვა-და-სხვა საშვალეებით უქადაგებენ ხალხს, რომ არ დარჩენენ ვიარების ხელში და გარდასახლდენ მსმალთს სამფლობელოში.

როგორც სხანს, იმათ ამ ნაირ მოქმედებას საქმარისი ნაყოფი მოუტანია!..

ეს ის თავდგირიძეები არიან, რომლებიც შთამამელობით ბატონობდნენ მთელ შობულეთის მხარეს და დიდი გავლენაც ჰქონდათ მთელ ხალხზედ; მაგრამ, უკანასკნელი ომიანობის წყალობით, როგორც სხვები, ისე

ესენიც იმ თავითვე გამოემშვიდობენ თავიანთ მამა-პაპულ მიწი-წყალს და გარდაიხვეწენ იმისთანა ხალხში, რომლებსაც ყველაფერი სძულსთ, მაგრამ შეჩვეული ჰირო შეუჩვეველ ლხნის (?) ამჯობინეს.

ბევრი იმათი კარგა მკოდნე პირებისაგან გამიგონია, რომ ამ თავდგირიძეებს სულით და გულით სდომებათ თავიანთ ქვეყანაში დარჩენა, — მაგრამ ჩვენს მთავრობას თან ვერ მორიგდენ და იმიტომ გადავიდენ ნო...

ამ საქმის თაობაზე ჩვენის მხრით მეტს ვერაფერს ვიტყვით იმის გარდა, რომ საყვედურის ღირსნი არიან მარტო ისინი, რომლებმაც ჩვენ უმაღლესს მთავრობას თავდგირიძეები ცუდის მხრით გააცნეს და ის დაავიწყდათ, თუ იმათი სამშობლოიდგან განდევნით რა ნაყოფს მოიტანდენ.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ზოგიერთი ბატონები ამითი ფრთებს არ შეისხამენ და არ იტყვიან, რომ: „პი ხალხის გარდასახლება მარტო ჩვენი ბრალი არ ყოფილა; სხვები ყოფილან მიზეზები და მქადაგებლები და თუ დღემდი გავთებები ჩვენ გვაბრალდენენ, შეცდომა ყოფილა.“

ჩვენ ხალხის გარდასახლებაზე აღარ ვესტირით, რადგანაც ეს თავის დროზე გამოვიგლოვეთ; ჩვენ ახლა იმას ვგლოვით და ვესტირით, რომ ეს ამდენი ხალხი ისევე სამზღვრებზე უნდა დაგვისახლონ და გაუჭირდეს თქვენს მტერს, როგორც ჩვენ ისინი საქმეს გავვიჭირებენ; როგორც თავის სახლკარილამ გავდებულთ, გამწარებული ხალხი, მარტო გაქურდვას და გიცარცვას არ დაგვაჯერებენ, არამედ სასიკვდილოთაც აღარ დაგვზოგამენ, რადგანაც ერთის მხრით თავიანთი ცოლმეილის დაჩაგვრით გამწირებულნი და მეორეს მხრით ჩვენ სისუსტეზე დაჯერებულნი, სრულებით გათამამებულნი, ყოველ ნაირათ გავენადგურებენ და, თუ როდისმე ომიც ატყდა, ყველაფერს, მლიშაყას და მოშას სარგებლით, გარდგვიხდიან,

რომლის მაგალითები ჩგრქვები და აფხაზები გვყავს.

ჩვენ სისუსტეზე დაჯერებულითქო, იმაზე მოგახსენებთ, რომ რაც ეს ახალი ადგილები შემოგვიერთდა, თითქმის იმ დღედგან დაწყებული დღემდი იმდენი კაცის კვლა და ათასნაირი მცარცველობა მოხდა, რომ მსმალთს მფლობელობის დროსაც არ გავვიგონია. მა არც ის გავვიგონია, რომ ვისმეს ამისათვის რიგინათ ყურადღება მიექციოს და, სამაგალითოთაც არის მინც, ერთსა რომელსამე მხარეში მოესპოთ ამ ნაირი ხალხის დამლუბველი საქმეები.

თუ გინდ ავიდოთ მარტო ჩვენი ბათუმი: ბათუმს ეხლა შეიძლება დავარქვათ ქურდების და ავაზაკების სამეფო, ანუ ბუდე!.. რა ნაირი ყაჩაღი და რა ნაირი ქურდი გნებაეთ, რომ აქარ იყოს!

ბათუმის სახლები, დუქნები და ეკლესიები დაცარცვეს და ამდენი ხანია ამის რიგინათ კვალი ვერ აღმოაჩინეს. ღაიჭერდენ და უშვებდენ მხოლოთ თავდებით. ამ ნაირათ თავდებოდა ყველაფერი...

— სანამ ერთი აქაური უმფროსის სახლი არ გაქურდეს და ამით არ გაუმწარეს სული და ვიდრე ერთმა ქალმა თავისი ქურდი თვითონვე არ დაუჭირა და არ ჩააბარა მთავროს, მანამდინ ვერ მიავნეს ქურდების კვალს და ბუდეს, — სადაც ინახამდენ ამდენ ნაპარაგს საქონელს.

ეს ბუდე, რომელიც იყო შესანახავი ნაპარაგი საქონელისა, აღმოჩნდა ერთ იმ ქურდის სახლში, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინეთ კიდევ ქურდობის მიზეზით ყოფილა დაჭერილი და გამოშვებული ერთი ზეგის თავდებით, რომლისათვისაც, მოისმის, საუკეთესო ნაპარაგი ნივთები უთავაზებია ტყვეობიდან განთავისუფლებილათვის.

ჯერ-ჯერობით უნდა უმაღლოდეთ ამ კვალის აღმოჩენისათვის ხსენებულ ქალს და პოლიციის ერთს მოხელეს, რომელიც ადგილობრივი მცხოვრებია

და ეხლა მიუღიათ სამსახური; საჭირო იყო, რომ ამისთანა რამოდენიმე პირები ადრეც ყოფილიყვნენ სასახურში, რადგან ამათ უკეთ იციან ბათუმის ყველა კუთხეები და ყველასაც კარგათ იცნობენ.

რალა ეჭვი უნდა ეხლა, მინც ჩაუდგებიან კვალში და ყველას და ყველაფერს აღმოაჩენენ და ამითი მოგვეცემენ მიზეზს, რომ უშიშრათ შეგვეძლოს ჩვენს სახლებში მინც დაძინება.

ჭაზახა.

წერილი რედაქციისადმი.

ამ დღეებში მომივიდა ახლად გამოცემული ჟურნალი „იმედი“ და ამასთანავე შემდგეი ბარათი: „იმედის“ რედაქცია გიგზანისთ თავის ჟურნალის პირველ ნომერს ნიმუშათ, და უმორჩილესადა გთხოვთ, რაც შეიძლება მალე, აცნობოთ მას — გსურთ მისი გამოწერა თუ არა? “

ეს ბარათი მიკრულია ჟურნალის პირველ გვერდზედ. უკანასკნ გვერდზედ სწერია, სხვათა შორის, შემდგეი: „ბოდისში ვითხოვთ მკითხველთაან... , რომ სასტიკათ ვერ შეურჩიეთ მას სტატიები.“

სუსტი ნომრის გაგზანა ნამუშათ, სწორედ მოგახსენოთ, ვერაფერია.

მაგრამ უარესია საზოგადოდ ის საშვალეობა, რომელიც უხმარია „იმედის“ რედაქციას თავის ჟურნალის გასასაღებლად. მათხოვარობა სრულიად არ შეშვენის იმისთანა მაღალ ღირსოვან საქმეს, როგორიც არის ლიტერატურა საზოგადოდ და ჟურნალ-გაზეთი კერძოდ. იგი არის დამცირება ლიტერატურისა, მეტადრე ჩვენის ლიტერატურისა, რომელსაც ჯერაც არ ჰღირსებია ჯეროვანი პატივი საზოგადოებისაგან.

მიკვირს და ენანობ, რომ „იმედის“ მოღვაწეთ უხმარიათ იმისთანა იარაღი, რომელიც შეეხება ვაჭრობას და არა ლიტერატურას.

მკითხველთაგანი.

შედგენილი იმ აზრისა და მიმართულებისამებრ, რომელიც წარმოსთქვა ბ. ინოვსკიმ ჩინოვნიკთა საბუდარს „Кавказ“ — ში და რომლის გამო „დროებამ“ უკვე წარმოსთქვა თავისი აზრი № 33-ში (რამდენადაც შეიძლებინეს „დამოუკიდებელ“ მიზეზებმა) .. ახლა თვითონ მკითხველთ განსაჯონ, რამდენად სასურველი უნდა იყოს ამ „პლანის“ აღსრულება ჩვენის სასოფლო მასწავლებელთაგან და რა რიგს ნაყოფს მოიტანს იგი, თუ კი დასტურდეს მისი ასრულება.

დასასრულ ერთი იმისთანა ამბავი მაქვს საამბობელი, რომელსაც მკითხველი თავდაპირველად არ დაიჯერებს, „ანეგდოტიაო“ იტყვის; მაგრამ ვარწმუნებთ, რომ იგი სრული ქემ-მარიტებაა. ბთხოვთ მომისმინოთ:

ამ ცოტა ხანში ერთმა პედაგოგიურს

უწყებაში მოსამსახურე მოხელემ სარევიზიოდ დაიარა ერთს მიყრუებულს მაზრაში მისი მოქვემდებარე სკოლები. თუმცა რევიზია უფრო მასწავლებელთ სუფრასა და ღვინოს უქმნა, ვიდრე სკოლების მდგომარეობას, მაგრამ ეს კიდევ არაფერია, ამით კიდევ არ გავიორდება ამ გვარ ვაჭბატონთაგან „საკვირველებათა“ დაჩვეული ქართველი მკითხველი. ბ. რევიზორს თურმე ძალიან ჰყვარებია აღებ-მიცემობა, ისე ჰყვარებია, რომ თვითონ წარმოიდგინეთ, რევიზიის დროსაც კი გავრთვის მითი. შემოხსენებულს მიყრუებულს მაზრაში მისმა ხარისხოვნებამ ჩაიტანა რამდენიმე ათი საათის ძეწკვი რალაც ახალი ლითონისა, რომელიც პირველის შეხედვით ოქროსა ჰგავს და ორ-ორ მან ჰღირს.

— წარმოიდგინეთ როგორ გაია-

ფებულა ამ უკანასკნელს დროში ოქროს ძეწკვები. პი ეს ძეწკვი ერთ თუმნად ვიყიდე და ყველას კი ჰგონია ასი მანეთი მექნება მიცემული“, ეუბნება ბ. რევიზორი პედაგოგი-უფროსი შიშით მოცახცანე სოფლელ მასწავლებელს.

— „ახ, რა მშვენიერებაა, რა იაფია, რას ბძანებთ, ბატონო, ნაპოვნია!..“ მიუგებს მასწავლებელი; მაგრამ რევიზორი სიტყვას გადუჭრის და ეტყვის:

— „ბატყობთ, რომ მოგვეწონათ... თქვენი ხათრისთვის, შემიძლია იმ ფასად დაგითმოთ, რაც თვითონ მიმიცია.“

მასწავლებელი, რასაკვირველია, იმ წამშივე თანხმდება და ორ მანეთის საღირალში თუმანს აძლევს. შედურს ორ-ნაირად ზედნიერი ჰგონია

თავი: ერთი რომ უფროსი იმდენად მცემს პატივს, თავისი ძეწკვი დამითმოვო და მეორედ, ას მანეთის საღირალი თუმნად ვიშოვნეო...

ამ ნაირად მოიქცა ბ. რევიზორი სხვა სკოლებშიაც და ამ რიგადვე იწამეს თავიანთი ზედნიერება დანარჩენ მასწავლებლებმაც. „სურთხეულ არიან მორწმუნენიო“...

ამ ამბის განმარტება საჭირო არ არის, რადგანაც განუმარტებლადაც გამოსტყვირს მისგან მისი ნამდვილი ღირსება... შინატროთ მხოლოდ, რომ ამისთანა მოვლენანი ხშირად არ ყოფილიყვნენ ჩვენში და სანამ ეს ნატერა აგვისრულდებოდეს, მანამ კი „ჯვარი აქაურობას!“

ჭ.

